

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მერი ქვრივიშვილი

წევრები:

დალი ჯაბაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

მარინა ისკაკოვა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

მარიამ ლეკიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ქეთევანი ბერუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ეთერი ივანელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);

მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ		
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება		სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა		საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი		246994686

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ქობულეთი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N168
საფოსტო ინდექსი	6200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://shorturl.at/ziFfE
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kobuleti3@mes.gov.ge

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება № MES 1 24 0000918787 / 29/07/2024წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	03.09.2024წ. - 04.09.2024წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N168, ერთი პირითადი და ერთი დამხმარე შენობა.

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N168, ერთი ძირითადი და ერთი დამხმარე შენობა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N168, ერთი ძირითადი და ერთი დამხმარე შენობა.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2024 წლის 3 და 4 აგვისტოს სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: მერი ქვრივიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

დადი ჯაბაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

მარინა ისკაკოვა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

მარიამ ლევიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ქეთევანი ბერუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ეთერი ივანელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);

მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა სრულად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დამატებითი იქნა გამოთხოვილი გარკვეული დოკუმენტაცია.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. აღნიშნულ პროცესებში ჩართული იყო დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ინტერვიუებში და საკუთარი მოსაზრებები გაუზიარა საგნობრივ ექსპერტებს.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლას სსსმ მოსწავლესთან მუშაობის საკმაოდ კარგი პრაქტიკა აქვს. გასულ სასწავლო წელს სკოლაში ირიცხებოდა 18 სსსმ და 2 შშმ მოსწავლე. შენობა სრულად ადპტირებულია და საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე პირთათვის. სკოლა ასევე აღჭურვილია ყველა საჭირო (მატერიალური/ადამიანური) რესურსით. სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით პროგრამის „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელისშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში“ -ფარგლებში, ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის გამო სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეთათვის მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად სკოლაში გახსნილია ინკლუზიური განათლების ცენტრი კერამიკის, გამოყენებითი და სახვითი ხელოვნების მიმართულებით. ცენტრი ემსახურება, როგორც სკოლის ბაზაზე ჩარიცხულ სსსმ მოსწავლეებს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას. შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სსსმ და შშმ პირთათვის სპეციალური სივრცეები, რომლებიც გაჯერებულია მრავალფეროვანი ინვენტარითა და რესურსებით.

სკოლაში ასევე ინკლუზიური სწავლების ხელშესაწყობად შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და მუდმივად თანამშრომლობს სპეც მასწავლებელთან. სკოლას ყავს კვალიფიციური სპეც მასწავლებლები. უნდა აღინიშნოს, რომ სსსმ მოსწავლე მაქსიმალურად ჩართულია საგაკვეთილო პროცესში, დავალებების შესრულებაში. მოსწავლე სწავლობს კეთებით და მისი ცოდნა უფრო სიღრმისეული ხდება. ასევე საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება მუშაობა რესურს ოთახში, როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფურად. სკოლაში ხშირად ტარდება მოსწავლისთვის

მოტივაციის ასამაღლებელი აქტივობები, რომელშიც მონაწილეობას იღებს თითოეული მოსწავლე (სურვილის გათვალისწინებით).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1000	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა სრული შესაბამისობით;
საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა სრული შესაბამისობით;
საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა სრული შესაბამისობით.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

<i>სტანდარტი N4</i>	<i>მოსწავლეთა მხარდაჭერა</i>	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>
<i>ინდიკატორი N...</i>		

<i>სტანდარტი N2</i>	<i>სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)</i>	<i>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</i>
<i>ინდიკატორი N...</i>		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

<i>სტანდარტი N1</i>	<i>სკოლის ფილოსოფია</i>	<i>რჩევა</i>
<i>ინდიკატორი N...</i>		
<i>სტანდარტი N3</i>	<i>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა</i>	<i>რჩევა</i>

ინდიკატორი N 3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.	სასურველია, „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში“ აღწერილი თანამშრომელთა პროფესიული საჭიროების დადგენისა და პროფესიული განვითარების ინსტრუმენტების გამოყენების საკითხი გიწეროს, არამარტო მასწავლებლების, არამედ სხვა თანამშრომლების შემთხვევაშიც.
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული	შენობა-ნაგებობის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში (№ 006451424) წარმოდგენილი გარემოებები დაწესებულების მხრიდან გასათვალისწინებელია, კერძოდ, აუცილებელია შენობის სართულობიანობასთან მიმართებაში სეისმური მოთხოვნების გათვალისწინება - დაწესებულებამ საკლასო ოთახები უნდა მოაწყოს მხოლოდ პირველ, მეორე და მესამე სართულებზე, ხოლო ისეთი ტიპის კაბინეტები/ოთახები როგორიცაა: დარაჯის, დამლაგებლის, წიგნსაცავის, კანცელარიის, ბუღალტრის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერის და ა.შ სრულად უნდა განათავსოს მეოთხე სართულზე . ამასთან მომდევნო ხანგრძლივი უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით სკოლის დარბაზის შუაკედლისები უნდა გაძლიერდეს შესაბამისი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.

	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N 3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, სასურველია სკოლამ აიყვანოს კიდევ ერთი სამედიცინო პერსონალი.
ინდიკატორი N 3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სასურველია სკოლამ განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის დროს, მოხდეს საგნების ინტეგრაცია - მაგალითად მათემატიკა (მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები) და კომპიუტერული ტექნოლოგიების თემების - ცხრილების შექმნა, წილადების და ფორმულების გამოსახვა ვორდში, ექსელში არითმეტიკული გამოთვლების წარმოება, რიცხვების ფორმატი და სხვა. (კომპიუტერული ტექნოლოგიები). წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში გრაფები იყო არეული და ასევე თემების მიხედვით დავალების პირობები

		გამოტოვებული. კურიკულუმის სრულყოფისთვის სასურველია, პედაგოგებმა გაითვალისწინონ აღნიშნული საკითხი სამომავლოდ. (ფიზიკური აღზრდა და სპორტი). კურიკულუმებში, ძირითადად, ჩანს მხოლოდ კომპლექსური დავალების იდეა, პირობის გარეშე. საგნობრივი კურიკულუმის სრულყოფის მიზნით სასურველია, ყველგან დაერთოს კომპლექსური დავალების პირობაც, სადაც წარმოჩინდება, რამდენად მიემართება ეს დავალება კონკრეტულ სამიზნე ცნებას/ცნებებს. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, ყველგან დაკონკრეტდეს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება ამა თუ იმ დავალების ფარგლებში. დასახვეწია სტრუქტურა. კერძოდ, საკითხის სვეტში ჩაწერილია ტექსტები, რომლებიც გადასატანია შესაბამის სვეტში. (სახელმწიფო ენა).
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	სასურველია, სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ თემის ფარგლებში, უფრო მეტად დეტალურად ჩაიშალოს საკითხები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას (ესთეტიკური აღზრდა). სასურველია, კურიკულუმში გათვალისწინებულ იქნას თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პრინციპი (შე და საზოგადოება). სასურველია, საკითხთა კლასტერი შესაბამისობაში იყოს თემასთან (მათემატიკა).
ინდიკატორი 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო	კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობს. მასწავლებელი იყენებს ონლაინ

	რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	სასწავლო რესურსებს, რომლებიც მითითებულია კურსკულუმში და რეკომენდირებულია განათლების სამინისტროს მიერ, თუმცა კარგი იქნებოდა სკოლას ჰქონდეს შემუშავებული ყოველწლიურად განახლებადი რეკომენდირებული ციფრული რესურსების სია. მაგალითად ციფრული უსაფრთხოების მიმართულების სწავლებისას გამოყენებული იყოს პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შექმნილი https://lms.geoskills.ge/ - პლატფორმის კურსი - „უსაფრთხოება ციფრულ სამყაროში (კომპიუტერული ტექნოლოგიები)“.
ინდიკატორი 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	სასურველია, დიფერენცირებული სწავლების უზრუნველსაყოფად, მოსწავლეთა შესაძლობების გათვალისწინებით მოხდეს თემის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების პირობის/აქტივობის მოდიფიცირება და დიფერენცირება (ესთეტიკური აღზრდა). სსსმ პირებისთვის კომპიუტერის გამოყენების ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის საჭირო ინსტრუმენტების გაცნობა მოხდეს სასკოლო საზოგადოებისთვის (კომპიუტერული ტექნოლოგიები). მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ატარებენ სადიაგნოსტიკო ტესტირებას და წარმოადგინეს ტესტების და მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები. სასურველია, სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგად გამოვლენილი სარემედიაციო პროგრამის საჭიროების შემთხვევაში სარემედიაციო პროგრამა და შესაბამისი მასალები დოკუმენტაციის სახით წარმოადგინონ (მათემატიკა);

ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად (ფიზიკური აღზრდა და სპორტი).
ინდიკატორი 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.	სასურველია, კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე სასწავლო რესურსები იყოს მიზნობრივი, რომელიც მორგებული იქნება სასწავლო თემატიკას და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას (ესთეტიკური აღზრდა). რაც შეეხება დამხმარე რესურსებს, სასურველია მასწავლებელმა თავად შექმნას ონლაინ პლატფორმაზე საგანმანათლებლო რესურსი კლასის საჭიროებიდან გამომდინარე და გამოიყენოს შესაბამისად, როგორც შეფასებისთვის ასევე უშუალოდ სწავლების პროცესში ახსნის, თემის შეჯამებისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით (უცხოური ენები).
ინდიკატორი 2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.	შემუშავდეს სასკოლო დოკუმენტი დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესის შესახებ და კათედრაზე მოხდეს ამ წესის თანახმად რესურსების განხილვა, დამტკიცება, დოკუმენტირება (კომპიუტერული ტექნოლოგიები).

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოდგენს მოსწავლეზე	წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში გრაფები იყო არეული და ასევე თემების მიხედვით დავალების პირობები გამოტოვებული. კურიკულუმის სრულყოფისთვის

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	სასურველია, პედაგოგებმა გაითვალისწინონ აღნიშნული საკითხი სამომავლოდ. (ფიზიკური აღზრდა და სპორტი). კურიკულუმებში, ძირითადად, ჩანს მხოლოდ კომპლექსური დავალების იდეა, პირობის გარეშე. საგნობრივი კურიკულუმის სრულყოფის მიზნით სასურველია, ყველგან დაერთოს კომპლექსური დავალების პირობაც, სადაც წარმოჩინდება, რამდენად მიემართება ეს დავალება კონკრეტულ სამიზნე ცნებას/ცნებებს. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, ყველგან დაკონკრეტდეს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება ამა თუ იმ დავალების ფარგლებში. დასახვეწია სტრუქტურა. კერძოდ, საკითხის სვეტში ჩაწერილია ტექსტები, რომლებიც გადასატანია შესაბამის სვეტში. (სახელმწიფო ენა).
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	სასურველია, სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ თემის ფარგლებში, უფრო მეტად დეტალურად ჩაიშალოს საკითხები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას (ესთეტიკური აღზრდა).
ინდიკატორი 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და გათვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	სასურველია, დიფერენცირებული სწავლების უზრუნველსაყოფად, მოსწავლეთა შესაძლობების გათვალისწინებით მოხდეს თემის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების პირობის/აქტივობის მოდიფიცირება და დიფერენცირება (ესთეტიკური აღზრდა).
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად (ფიზიკური აღზრდა და სპორტი). სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით

		გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან, რომლებიც ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე, სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით (გეოგრაფია). სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან, რომლებიც ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე, სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით (მოქალაქეობა). წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იყო ზოგადი, სასურველია გადაამუშაონ და შეუსაბამონ კონკრეტულ თემას, გაითვალისწინეს ინტერვიუს დროს მიცემული რეკომენდაციები და წარმოადგინეს განახლებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც შესაბამისობაშია ესგ-ს პრინციპებთან (მათემატიკა).
ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	სასურველია, კურიკულუმით განსაზღვრული ყველა თემის ფარგლებში მომზადდეს შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი კონკრეტული დავალების ფარგლებში შესაფასებელი კრიტერიუმები, ხოლო კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალების ფარგლებში, სასურველია მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან დაკავშირებული საკითხებთან და

		ქვესაკითხებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (ესთეტიკური აღზრდა).
ინდიკატორი 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.	სასურველია, კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე სასწავლო რესურსები იყოს მიზნობრივი, რომელიც მორგებული იქნება სასწავლო თემატიკას და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას (ესთეტიკური აღზრდა). რაც შეეხება დამხმარე რესურსებს, სასურველია მასწავლებელმა თავად შექმნას ონლაინ პლატფორმაზე საგანმანათლებლო რესურსი კლასის საჭიროებიდან გამომდინარე და გამოიყენოს შესაბამისად, როგორც შეფასებისთვის ასევე უშუალოდ სწავლების პროცესში ახსნის, თემის შეჯამებისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით (უცხოური ენები).

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში გრაფები იყო არეული და ასევე თემების მიხედვით დავალების პირობები გამოტოვებული. კურიკულუმის სრულყოფისთვის სასურველია, პედაგოგებმა გაითვალისწინონ აღნიშნული საკითხი სამომავლოდ. (ფიზიკური აღზრდა და სპორტი). კურიკულუმებში, ძირითადად, ჩანს მხოლოდ კომპლექსური დავალების იდეა, პირობის გარეშე. საგნობრივი კურიკულუმის სრულყოფის მიზნით სასურველია, ყველგან დაერთოს კომპლექსური დავალების პირობაც, სადაც წარმოჩინდება, რამდენად მიემართება ეს დავალება კონკრეტულ სამიზნე

		ცნებას/ცნებებს. ასევე, სამიზნე ცნებებთან ერთად, ყველგან დაკონკრეტდეს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება ამა თუ იმ დავალების ფარგლებში. დასახვეწია სტრუქტურა. კერძოდ, საკითხის სვეტში ჩაწერილია ტექსტები, რომლებიც გადასატანია შესაბამის სვეტში. (სახელმწიფო ენა).
ინდიკატორი 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	სასურველია, სკოლამ კურიკულუმის ჩარჩოებში დოკუმენტურად ასახოს (საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს) სასწავლო რესურსები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს (საზოგადოებრივი მეცნიერებები - ისტორია).
ინდიკატორი 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	სასურველია, დიფერენცირებისთვის გამოყენებული მასალები წარმოადგინონ დოკუმენტურად (მათემატიკა).
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად (ფიზიკური აღზრდა და სპორტი). სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან, რომლებიც ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. ასევე, სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით (გეოგრაფია). სასურველია სკოლამ შეიმუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით (მოქალაქეობა).

ინდიკატორი 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.	სასურველია, სკოლამ კურიკულუმის ჩარჩოებში დოკუმენტურად ასახოს (საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს) სასწავლო რესურსები, რომლებსაც სასწავლო პროცესში იყენებს (საზოგადოებრივი მეცნიერებები - ისტორია). რაც შეეხება დამხმარე რესურსებს, სასურველია მასწავლებელმა თავად შექმნას ონლაინ პლატფორმაზე საგანმანათლებლო რესურსი კლასის საჭიროებიდან გამომდინარე და გამოიყენოს შესაბამისად, როგორც შეფასებისთვის ასევე უშუალოდ სწავლების პროცესში ახსნის, თემის შეჯამებისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით (უცხოური ენები).
------------------------	---	---

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც დახარვეზებულ ინდიკატორთან 3.4.1(1) (სკოლას არ აქვს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა ნაგებობის უსაფრთხო ექსპულატაციის შესახებ) მიმართებით გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ასევე წარადგინა, უკვე შესრულებული ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა № 006451424. ყოველივეს გათვალისწინებით ინდიკატორი

3.4.1(1) შეფასდა სრული შესაბამისობით, თუმცა აღნიშნულ დასკვნაში წარმოდგენილი გარემოებები დაწესებულების მხრიდან გასათვალისწინებელია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

სსიპ - თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მასში დეკლარირებული მიმართულებებით, სკოლას სურს აღზარდოს ეროვნული ღირებულებების პატივისცემელი თაობა, რომელიც შეძლებს კონკურენტუნარიან გარემოში პრაქტიკული უნარ-ჩვევებით დამოუკიდებელი და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მისია ასახავს დაწესებულების დანიშნულებას, გამოხატავს მის იდენტობას. სკოლის ხედვა გამომდინარეობს მისიიდან და მასში ასახულია სკოლის მისწრაფებები, რითაც სკოლა ორიენტირებულია უწყვეტ ხარისხიან და თანაბრად ხელმისაწვდომ განათლებაზე, ინოვაციური

მიდგომების დახვეწასა და ინკლუზიური განათლების სრულყოფაზე. ღირებულებები კი წარმოდგენილია ისეთი პრინციპების სახით, როგორიცაა: გუნდური მუშაობა, პროფესიონალიზმი, ინოვაცია, პასუხისმგებლობა და ადამიანის უფლებათა დაცვა. **ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და სკოლის მესვეურებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია, კარგად შეისწავლოს საკუთარი, სასკოლო თემისა და ზოგადად საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები, რასაც ასახავს მისიაში. ამასთან, სკოლა აცნობიერებს, რომ სწავლის პროცესი შეუძლებელია სასკოლო საზოგადოებრივი პრობლემებისგან ცალკე იდგას და არ ემსახურებოდეს მათ გადაჭრას. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის პროცესში სკოლა რთავს საკუთარ საზოგადოებას, რაც აძლიერებს მიკუთვნებულობის განცდას. სასკოლო პროექტებითა თუ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებით სკოლა წარმოადგენს სოციო-კულტურულ სივრცეს. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ხორციელდება როგორც შიდა სასკოლო, ასევე რაიონული პროექტები. სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა წარმატება და შემოქმედებითობა. **ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

სკოლის ფილოსოფიის შედგენა განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. 2023 წლის 14 სექტემბერს დირექტორის ბრძნებით შექმნილმა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფმა ჩაატარა გამოკითხვა (ანკეტირება), გამოკითხვაში მონაწილეობდა სკოლის 31 (ოცდათერთმეტი) თანამშრომელი, 25 (ოცდახუთი) მოსწავლე და 46(ორმოცდაექვსი) მშობელი. კვლევები ჩატარდა არა ელექტრონული ფორმით. ანალიზის საფუძველზე დადგინდა რომ ფილოსოფიის შედგენისას საზოგადოების აზრი და პრიორიტეტები გათვალისწინებულია. სკოლის ფილოსოფიის პროექტი ასევე განიხილა სამეურვეო საბჭომ (სხდომა №2- 07 სექტემბერი 2023 წ.) და საბოლოოდ დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ (სხდომა №1- 07 სექტემბერი 2023წ.) **ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის მიერ შემუშავებული ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. კერძოდ, შეთანხმებულია საზოგადოებასთან და გათვალისწინებულია მათი პრიორიტეტები და შეხედულებები. სკოლის მისიასა და ხედვაში ასახული ღირებულებები დეკლარირებულია სასკოლო საზოგადოების მხრიდან. სკოლის მისია და ხედვა თავდაპირველად შემუშავდა პროექტის სახით, რომელიც სასკოლო საზოგადოებას, რეკომენდაციების მიღების მიზნით, სხვადასხვა კოლეგიალურ ორგანოზე წარედგინა. საბოლოო სახით დადგინდა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე - (სხდომა №2- 07 სექტემბერი 2023 წ.) და დაამტკიცდა პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე (სხდომა №1- 07 სექტემბერი 2023 წ.) სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები არის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა კიდევ ერთხელ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროა. კერძოდ, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, გამოკრულია სკოლის შენობის მისაღებ სივრცეში სადემონსტრაციო დაფის სახით და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.**ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 21 ნოემბრის №155/ნ ბრძანების თანახმად , ომში გარდაცვლილი გმირის თიმიურაზ ჯორბენაძის ხსოვნის საპატივსაცემოდ სკოლას მიენიჭა სახელწოდება- „სსიპ - თიმიურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლა“ შესაბამისად სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- კვლევის მასალები ;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2014 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №155/ნ სკოლის სახელწოდებაზე

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიზანია აღწეროს სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მიდგომები, მოთხოვნები და სამუშაო პროცესები. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა მისიასა და ხედვაზე დაფუძნებით შეიმუშავებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. ასევე, განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები. მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებსაც. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, თუ რა გზას/პროცესს გადის დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმვის ერთი ციკლის პროცესში. **ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, „სსიპ - თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის მიზანია, განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლებითაც სკოლა იხელმძღვანელებს მომავალი შვიდი წლის განმავლობაში. გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, როდესაც ხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, სტრატეგიული მიზნების ფორმულირება, სკოლას მხედველობაში აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც უმაღლეს დონეზე დეკლარირებული პრინციპები. ამასთან, სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს მისიისა და ხედვის რეალიზაციის გზას.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და შეესაბამება დაწესებულების მისიას. ხოლო სტრატეგიული მიზნის რეალიზების გზად წარმოადგენილია ამოცანები. შესაბამისად დგინდება კორელაცია აღნიშნულ გეგმასა და სკოლის ფილოსოფიას შორის. **ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც წარმოდგენილია სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები და ვადები. ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის თვითშეფასებას. **ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ამოცანების შესაბამისი აქტივობები დეტალური და სტრუქტურირებულია. შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები თუ შესაბამისი რესურსები მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლის მიერ განსახორციელებელ დაგეგმილ აქტივობებს. **ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023-2030წ);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (24.09. 2023 წ; ბრძ. N01-03/78), რომელიც ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტის თანახმად სტრატეგიული გეგმა ფასდება მისი მოქმედების ვადაში ყოველ სამ წელიწადში ერთხელ და შვიდი წლის გასვლის შემდეგ ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი კი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე დირექტორის მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება კონკრეტული ფორმა (ცხრილი) თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება

3.ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება

4.ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წ);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციული სტრუქტურული სქემა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სკოლის დირექცია (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი), ადმინისტრაციული პერსონალი (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი), ტექნიკური პერსონალი (დარაჯი, ცეცხლფარეში, დამლაგებელი, ექიმი), ინკლუზიური განათლების მხარდაჭერი ჯგუფი (სპეც. პედაგოგი, სსსმ მოსწავლის ასისტენტი), მანდატური და შემდეგი კოლეგიალური ორგანოები : სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, სააპელაციო კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, კათედრები და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი). აღნიშნული სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები სკოლას გაწერილი და დამტკიცებული აქვს დირექტორის ბრძანებით. შრომით ხელშეკრულებებში ასევე იკითხება თანამშრომელთა ვალდებულებები. **ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება. მათთან გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ თითოეულ წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვის პროცესში. კოლეგიალური ორგანოების ოქმებშიც იკვეთება, რომ განხილული საკითხები ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. **ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითმმართველობის დებულება;
- შრომითი მომსახურების ხელშეკრულებები ;
- საშტატო ერთეულის ნუსხა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხა ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N2 (დისციპლინარული კომიტეტის წევრების არჩევა) ;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის სტრუქტურა;

- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღწერა ;
- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ ;
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N1 18.10.2023 ;
- სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა ;
- პედსაბჭოს ოქმი N1, დისციპლინარული კომიტეტის არჩევა;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მართვის პროცესში სკოლა ეფუძნება კანონმდებლობას და შიდა რეგულაციებს. სკოლაში არსებული დოკუმენტაციის ანალიზისა და პროცესების შესწავლის შედეგად არ გამოკვეთილა პერსონალის მართვასთან დაკავშირებით რაიმე შეუსაბამობა კანონმდებლობასთან ან დაწესებულების მიერ დადგენილ პირობებთან. **ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც გაწერილია კადრების მოზიდვისა და შერჩევის პროცესები. სკოლა ვაკანსიების გზით უზრუნველყოფს ახალი კადრების მოზიდვას. დირექტორის მოადგილისა და ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე სკოლა გეგმავს

პრევენციულ და ინტერვენციულ აქტივობებს პერსონალის მართვასთან დაკავშირებით გამოკვეთილი საჭიროებების საპასუხოდ. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლის შეცვლა/გაცდენის ჟურნალი, რომლითაც დასტურდება, რომ მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს ინტერვენციულ ჩარევას მისი ჩანაცვლების გზით. **ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია კადრების მოზიდვა შერჩევის პროცედურები, რომლებიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში იკითხება, რომ მასწავლებლის / სპეციალური მასწავლებლის შერჩევას უზრუნველყოფს კონკურსის გზით, რაც კანონმდებლობის შესაბამისია. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლისა) ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით, თუმცა დირექტორის გადაწყვეტილებით, თანამშრომლის სამუშაოზე მიღება ასევე შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე. დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლა ნამდვილად კანონმდებლობის შესაბამისად იყვანს კადრებს. მასწავლებლების კონკურსის გზით შერჩევის პროცედურები სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად აქვს წარმართული, რაც დასტურდება შესაბამისი ბრძანებებით, გამოცხადებული ვაკანსიებითა და ოქმებით. სკოლაში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის დაცვით. საკონკურსო კომისია კანდიდატს არჩევს და აფასებს მის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, ასევე წინასწარ გაწერილი შეფასების კრიტერიუმებით. კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით, იქმნება საპრეტენზიო კომისია, რაც ასევე ობიექტურობის დაცვის გარანტია. **ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის პირადი საქმის გადამოწმებით დასტურდება რომ თითოეული თანამშრომლის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში შექმნილი თანამშრომლობითი გარემო ადასტურებს, რომ სკოლის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური, თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპებს. თანამშრომელთა შერჩევის პროცესს უმეტესწილად წარმართავს კომისია, რომლის წევრებიც არიან სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრები, რაც პერსონალის მართვაში მათ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს. პერსონალის განვითარების პროცესზე ზრუნავს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რაც ასევე თანამშრომლობის დასტურია. **ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმებს, რაც სკოლის პერსონალის წარმატებული გამოცდილების აღიარების საშუალებაა. სკოლა ამ მიზნით იყენებს წახალისების ისეთ ფორმებს, როგორებიცაა : მადლობის

გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება და ა.შ. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და აღიარების მიზნით, სკოლაში ხშირად ტარდება სამუშაო შეხვედრები, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ სხვადასხვა ტრენინგზე, კონფერენციაზე მიღებულ გამოცდილებას. **ინდიკატორი**

3.1.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება;
- ვაკანსიის სხდომის ოქმი;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების ბრძანება;
- ხელშეკრულება მასწავლებელთა ხელშეკრულებები(უფროსი, წამყვანი, მენტორი, სპეცმასწავლებელი);
- სხვა პერსონალის ხელშეკრულებები;
- ბრძანება ვაკანსიის წესის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დამტკიცებულ ადამიანური რესურსებიც პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პროცესს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც საგაკვეთილო დაკვირვების გზით ადგენს მასწავლებელთა პროფესიულ საჭიროებებს და აძლევს შესაბამის განმავითარებელ უკუკავშირს. კათედრების ოქმებით დასტურდება, რომ მასწავლებლები ხშირად განიხილავენ სწავლა-სწავლების პროცესში გამოკვეთილ საჭიროებებს. თითოეული კათედრა ავსებს თვითშეფასების კითხვარს საჭიროებების გამოსავლენად. სკოლა საჭიროებების დადგენის მიზნით, რეგულარულად აანალიზებს მოსწავლეთა შედეგებსაც და გამოკვეთს იმ მიმართულებებს, რომელთა შესაბამისადაც საჭიროა მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების დადგენაში სკოლაში წარმოებს მონიტორინგის პროცესი, რომლისთვისაც იყენებენ დაკვირვების, ინტერვიუს, თვითშეფასების, კრიტიკული შემთხვევების შეფასების და სამუშაო პროცესზე დაკვირვების მეთოდს. აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენება დასტურდება თანამშრომელთა გასაუბრებით. სკოლას მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების დადგენის ინსტრუმენტები დეტალურად აქვს გაწერილი, თუმცა სასურველია, აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენების საკითხი სხვა თანამშრომლებთან მიმართებითაც გაიწეროს, რომელიც დაეხმარება თითოეულ თანამშრომელს პროფესიულ განვითარებაში. **ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ დამტკიცებულ ადამიანური რესურსებიც პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია, სკოლის დირექტორის მოადგილის როლი ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პროცესში, კერძოდ, ის ეხმარება და მეთოდურ მითითებებს აძლევს მასწავლებლებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას; პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, სკოლის მასწავლებლებისთვის აწყოფს სამუშაო შეხვედრებს; ხელს უწყობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში; სკოლის მასწავლებლებს აწვდის ინფორმაციას სკოლისათვის შემოთავაზებული ტრენინგებისა და სემინარების შესახებ; რეგულარულად ეცნობა სიახლეებს, რომლებიც ინერგება სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების განვითარების ფარგლებში; გეგმავს და ორგანიზებას უკეთებს კათედრის წევრების შეხვედრებს; საჭიროების შემთხვევაში, სწავლების თანამედროვე სტრატეგიებისა და მეთოდოლოგიის გაცნობის მიზნით ატარებს ტრენინგებს. კათედრები აქტიურად ახორციელებენ სამუშაო გეგმით გაწერილ აქტივობებს გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. სკოლა მუდმივად ზრუნავს გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ თანამშრომელთა ისეთი პროგრამებისა და პროექტებში ჩართვაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ პროფესიულ განვითარებას. მაგალითად, სკოლის ბუღალტერი ესწრება ფინანსებთან დაკავშირებულ სიახლეებთან დაკავშირებულ ტრენინგებს. უახლოეს წარსულში სკოლის დირექტორიც აქტიურად იყო ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ ლიდერთა ტრენინგში.

ინდიკატორი 3.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ინტენსიურად აწვდის სკოლის თანამშრომლებს ინფორმაციას განათლების სისტემაში მომცხადებულ პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ, რათა მათ შეძლონ კარიერული წინსვლა. ერთ - ერთმა მასწავლებელმა, სკოლის წარდგინებით, პრაქტიკული საქმიანობის შეფასების გზით შეიცვალა სტატუსი. სკოლას ჰყავდა მაძიებელი მასწავლებლი, რომელმაც ტუტორის დახმარებით წარმატებით გაიარა მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა და მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ასევე ერთმა მასწავლებელმა გარე დაკვირვების გზით მოიპოვა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. სკოლას აქვს მზაობა კარიერული წინსვლის მსურველ კადრებს ხელი შეუწყოს და დაეხმაროს საჭიროებისამებრ.

ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პროცედურები სკოლას გაწერილი აქვს როგორც ცალკე დოკუმენტად, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. სკოლა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით იყენებს სხვადასხვა ღონისძიებასა და აქტივობას, კერძოდ: ახალი თანამშრომლისათვის სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, სკოლის დათვალიერება; მისი პირადი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა და განმარტება; ინფორმირება სკოლაში მიმდინარე სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ; სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა; სკოლის თანამშრომლებისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა; თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო

დახურულ ჯგუფებში; თანამშრომელთა ექსკურსია, გასვლითი კორპორატიული ღონისძიება. აღნიშნული აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი არიან სკოლის დირექტორს მოადგილე და კათედრების ხელმძღვანელები.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სკოლას გაწერილი აქვს წახალისების მექანიზმები, რომლებსაც იყენებენ სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოტივაციის ამაღლების მიზნით. სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მაღლობის გამოცხადება; სიგელის გადაცემა; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლის თანამშრომლებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. თანამშრომელთა ინიციატივები ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერილია და ხელს უწყობენ სხვადასხვა აქტივობის განხორციელებაში. მაგალითად, სკოლამ მხარი დაუჭირა რამდენიმე მასწავლებელს შოთა რუსთაველის ფონდთან, ერასმუსთან თანამშრომლობაში. **ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის წესი;
- ბრძანება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- საგნობრივი კათედრის წევრის თვითშეფასების კითხვარი და კათედრის ეფექტურობის შეფასების კითხვარი;
- სამუშაო შეხვედრების რეგლექსია;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, წესისა და პროცედურების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების საკითხები. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტად სკოლა იყენებს თვითშეფასებას. აღნიშნული პროცესი მოიცავს აქტივობების

წინასწარ დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგსა და გაუმჯობესებას. ხარისხის მართვის ციკლი ვრცელდება სასწავლო პროცესზე, ასევე ადამიანურ, საინფორმაციო, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებზე და მოსწავლეთა მხარდაჭერ სერვისებზე. **ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას გააზრებული აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და დოკუმენტურად გაწერილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში. მმართველობითი პროცესები უკავშირდება სკოლის საქმიანობის დაგეგმვას და კონტროლს. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება (სტრატეგიული დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა და წლიური დაგეგმვა). ძირითად პროცესად სკოლაში განისაზღვრება: სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. მმართველობით და ძირითად პროცესებთან ერთად სკოლა ახორციელებს ისეთ დამხმარე პროცესებს, როგორიცაა მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, მატერიალური რესურსის მართვა, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საქმის წარმოება (დოკუმენტბრუნვა) და სხვა. **ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს საჩივრის განხილვის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს გასაჩივრების პროცედურების საჯაროობას. წესდების მიხედვით საჩივრებს განიხილავს, დირექტორი, სააპელაციო კომიტეტი, ან სამეურვეო საბჭო. საჩივრის წესი ითვალისწინებს ინტერესთა კონფლიქტის საკითხებსაც. მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი ან მოსწავლის სხვა კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია, გაასაჩივროს სკოლის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი. სკოლაში კონკურსის ჩატარებისას, კანდიდატს შეუძლია კომისიის და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში შესაბამისი წესით. **ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით აქვს დამტკიცებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმი, რომლის თანახმადაც სასკოლო საზოგადოების წევრთა კანონიერი უფლებების დაცვის გარანტია- სკოლის შინაგანაწესი, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მანდატურები, სკოლის ექიმი, დამრიგებლები. მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. ინფორმაცია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის დამრიგებლის მიერ ელექტრონულად ეგზავნება ყველა წარმომადგენელს. პერსონალთან, მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი

მხარეთა უფლება-მოვალეობები. მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებელი აცნობს შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. სკოლის თანამშრომლები ხელშეკრულების ხელმოწერისას ადასტურებელ შინაგანაწესის გაცნობასაც. ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლებები. სკოლაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების წესი. **ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესახებ 01-03/44;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედური;
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- სასკოლო საზოგადოების წევრებთან ჩატარებული ინტერვიუ.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადმინისტრაცია ღიაა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციაში, რითაც უზრუნველყოფს მათთვის ინფორმაციის დროულ მიწოდებას. კრებებზე დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმას, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილ და განხორციელებული პროცესების შესახებ. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად სკოლა აქტიურად იყენებს საინფორმაციო დაფასა და კომუნიკაციის სხვა არხებს, მაგალითად სოციალურ ქსელს, ელექტრონული საქმის წარმოების სისტემას. სამუშაო შეხვედრებისა და ადმინისტრაციასთან პირადი ვიზიტის საშუალებით, სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ საშუალება დააფიქსირონ საკუთარი აზრი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და მიაწოდონ სკოლას უკუკავშირი. **ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის კოლეგიალური ორგანო დაკომპლექტებულია კანონმდებლობის შესაბამისად და შესაბამისად პროცესებში ჩართულნი არიან სასკოლო საზოგადოების მხარეები. მათი ოქმებითა და გასაუბრებით დასტურდება მშრობლების, მასწავლებლების, მოსწავლეების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო და კათედრები ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს. დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად მონაწილეობენ სკოლის სხვადასხვა დოკუმენტის შემუშავების, შეთანხმების, დამტკიცების, განხილვისა და განხორციელების პროცესში. **ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები;
- კათედრების ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- სასკოლო საზოგადოების წევრებთან ჩატარებული ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

1. სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (ორი თანამშრომელი), სკოლის შენობაში სტუმრის შესვლა კონტროლდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სპეციალური თანამშრომლის მიერ. სტუმრების შესახებ ინფორმაცია ინიშნება ვიზიტორების აღრიცხვის ჟურნალში. აღსანიშნავია, რომ როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე შესვენებების დროს ყველა სართულზე მორიგეობენ მასწავლებლები, როგორც სამასწავლებლოში, ისე სართულებზე გამოკრულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. სკოლას ჰყავს დარაჯი. ასევე შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი და შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (წერილი #MIA 0 24 01 62 19 55).

სკოლამ 2024 წლის 14 მაისს მიმართა შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენი თაობაზე (წერილი # MES99240000517726).

ასევე დირექტორმა რამდენჯერმე მიმართა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებისა და დასკვნის მომზადების თაობაზე, ამასთან აღნიშნულ სამსახურთან 2024 წლის 23 მაისს

გააფორმა ხელშეკრულება. შესაბამისად ვიზიტის დროს არ იყო წარმოდგენილი დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. თუმცა დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ასევე წარადგინა, უკვე შესრულებული ღირებულების სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (№ 006451424) შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. თუმცა აღნიშნულ დასკვნაში წარმოდგენილი გარემოებები დაწესებულების მხრიდან გასათვალისწინებელია, კერძოდ, აუცილებელია შენობის სართულობიანობასთან მიმართებაში სეისმური მოთხოვნების გათვალისწინება (სასკოლო დაწესებულებების სართულიანობა არ უნდა აღემატებოდეს სამ მიწისზედა სართულს), ამასთან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება № 308/ნ- ის მიხედვით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც მოთავსებული არიან ძველ 4-5- სართულიან შენობებში, IV და V სართულებზე უნდა განლაგდეს იმ საგანთა კაბინეტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს ინტენსიური მეცადინეობები.“ ყოველივეს გათვალისწინებით სკოლის მომდევნო უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის დაწესებულებამ საკლასო ოთახები უნდა მოაწყოს მხოლოდ პირველ, მეორე და მესამე სართულებზე, ხოლო ისეთი ტიპის კაბინეტები/ოთახები როგორიცაა: დარაჯის, დამლაგებლის (ორი ოთახი), წიგნსაცავის, კანცელარიის, ბუღალტრის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერის და ა.შ სრულად უნდა განათავსოს მეოთხე სართულზე . ამასთან მომდევნო ხანგრძლივი უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით სკოლის დარბაზის შუაკედლისები უნდა გაძლიერდეს შესაბამისი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით. **ინდიკატორი 3.4.1.1. დაკმაყოფილდა**

ინდიკატორი 2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

2. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია დაწესებულების პირველ სართულზე. აღჭურვილია სტანდარტის შესაბამისი ავეჯით, ინვენტარითა და მედიკამენტებით. დაცულია პრივატულობა და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ ბრძანება №41/ნ -ს. კაბინეტი ასევე უზრუნველყოფილია ჰიგიენისა და სადეზინფექციო საშუალებებით. ექიმის კაბინეტში, კედელზე გამოკრულია, როგორც პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, ასევე საინფორმაციო ხასიათის ბანერები -მაგალითად ჰიგიენის წესის შესახებ და სხვა. ექიმი აწარმოებს კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამის დოკუმენტაციას. მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, სასურველია სკოლამ აიყვანოს კიდევ ერთი სამედიცინო პერსონალი. **ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

3. სკოლაში უსაფრთხოების წესების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით N 06/ნ (29/01/2019წ). გაწერილი რეგულაციებით. სასკოლო დროს სკოლის შენობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოების წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური, ასევე კეთდება შესაბამისი ჩანაწერები ვიზიტორთა რეგისტრაციის ჟურნალში. სკოლაში დამტკიცებულია მრჩეველთა საბჭო, რომელიც რეკომენდაციებს იძლევა სკოლის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

სკოლაში „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშოების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების დაცვით, დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომელთა მონიტორინგზე და მუშაობის გამართულობაზე პასუხისმგებლები არიან სკოლის მანდატურები. **ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

4. სკოლა უზრუნველყოფს დადებითი, მხარდამჭერი და პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნას. ამ მიზნით, სკოლაში მუდმივად ტარდება სხვადასხვა აქტივობები (შეხვედრები, ღონისძიებები, ტრენინგები სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესებთან დაკავშირებით). ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებული შემთხვევების იდენტიფიცირებისა და რეფერირების პროცედურების განხორციელების მიზნით, სკოლაში განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იხელმძღვანელებს საქართველოს მთავრობის დადგებილებით (N437 12.09.2016 წ.).

უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით დამრიგებლებს სადამრიგებლო პროგრამებში ჩაშენებული აქვთ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო პირობების განმსაზღვრელი სხვადასხვა აქტივობები. პერიოდულად ტარდება მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრები ბულინგისა და კიბერბულინგის თემაზე, ასევე განხორციელდა აქტივობები ბულინგის და კიბერბულინგის პრევენციის მიზნით (სასკოლო პროექტი „stop bullying“; კიბერბულინგის შესახებ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით შეიქმნა ბუკლეტები, ფლაერები და დაურიგდა მოსწავლეებს). სკოლა ცდილობს მაქიმალურად ინფორმირებული იყვნენ მოსწავლეები ამ საკითხებთან მიმართებით. დირექტორი სასწავლო წლის ბოლოს წერს ანგარიშს- „2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი

წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით“ სადაც ერთგვარ მიმოხილვას ატარებს ამ მხრივ განხორციელებული აქტივობების შესახებ. **ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, პერიოდულად ხდება დეზინფექცია და ამ პროცედურის შესაბამისად აღრიცხვა. ამ მიზნით, სკოლაში დასაქმებული დამლაგებლები უზრუნველყოფენ დაწესებულების ჰიგიენურად მოწესრიგებას. სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის და ქიმიური საშუალებების შესანახად გამოყოფილია ცალკე სივრცე. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ნარჩენების სათავსი. ადგილზე ვიზიტისას სკოლა ჰიგიენური თვალსაზრისით მოწესრიგებული იყო. სკოლას ასევე აქვს მოწესრიგებული ადაპტირებული საპირფარეშოები. როგორც გასაუბრებისას გაირკვა, სკოლის ექიმიც მუდმივად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

6. სკოლას ყავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირი. სკოლა იყენებს eSchool-ს ძირითადი მონაცემების ასახვისთვის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება შესაბამის სივრცეში. მასწავლებლებს აქვთ ვალდებულება დაიცვან მოსწავლის პირადი ინფორმაცია. ამასთან 2024 წლის 8 აპრილს სკოლის დირექტორმა დაამტკიცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N 01-3/44), სკოლას აქვს მშობელთა წერილობითი თანხმობები ფოტო/ვიდეო მასალის სკოლის პორტალზე და სოციალურ ქსელში განთავსებასთან დაკავშირებით, სასურველია სკოლამ განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

7. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას. როგორც გასაუბრებების შედეგად დადგინდა, პირადი მონაცემების დაცვისთვის სკოლას ეხმარება პერსონალისა და მასწავლებელთა მონაცემების დაცვის სისტემები- eFlow, eSchool, ელ. ჟურნალი. სკოლაში დაინსტალირებული ანტივირუსული პროგრამები ლიცენზირებულია. სკოლა მუშაობის

პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, სადაც, ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნით, დაბლოკილია სოციალური ქსელები. ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია

8. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი;
- ექსპერტიზის ბიუროდან მდგრადობის შესახებ ხელშეკრულება;
- eSchool-ის ბაზები;
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ;
- სახანძრო უსაფრთხოების წერილები;
- ექიმის პირადი საქმე

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

1. სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლას საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სარგებლობაში აქვს 13004 კვ.მ. ფართი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობით-5769 კვ.მ. სკოლის შენობა არის ოთხ სართულიანი. იგი შედგება ძირითადი და დამხმარე კორპუსისაგან. ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე განთავსებულია ინკლუზიური განათლების ცენტრის სამი კაბინეტი და რესურს ოთახი, ადაპტირებული ორი სველი წერტილი. მანდატურის ოთახი, ექიმის კაბინეტი, დარაჯის ოთახი, დამლაგებლის ოთახი, საკლასო ოთახები და ორი სტანდარტული სველი წერტილი. მეორე სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ბუღალტერის კაბინეტი, ტექ. პერსონალის კაბინეტები, ორი საკლასო ოთახი და ორი სველი წერტილი. მესამე სართულზე განლაგებულია სამასწავლებლო, ისტ-ის ლაბორატორია, საკლასო ოთახები, და ორი სველი წერტილი. მეოთხე სართულზე არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, ხელოვნების კაბინეტი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები და ორი სველი წერტილი. სკოლას აქვს ლიფტი. ყველა საკლასო ოთახი აქვს ბუნებრივი განათება და აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. პირველი კორპუსი მეორე კორპუსს უკავშირდება დახურული შემაერთებელი ხიდით. მეორე კორპუსი არის ორ სართულიანი, აქედან პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი ინვენტარით, გასახდელეებით და სველი წერტილებით, სკოლას ასევე აქვს ეზოში ღია სპორტული მოედანი. მეორე სართულზე განთავსებულია სააქტო დარბაზი. სკოლა ასევე სარგებლობაში ფლობს 1034 (ათას ოცდაათოთხმეტი) მოსწავლის ინდივიდუალურ მერხს, 122(ას ოცდაორი) კომპიუტერს, 18(თვრამეტი) პროექტორს და 6 (ექვსი) პრინტერს.**ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

2. სკოლის სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში ხორციელდება. ამ დროის განმავლობაში, მოსწავლეებს და პედაგოგებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით, სპორტული და სააქტო დარბაზებით, სხვადასხვა სახის კაბინეტებით და კომპიუტერული ლაბორატორიით, რომელთაც აქვთ თვალსაჩინო ადგილას გამოკრული მუშაობის წესები. სკოლა სსსმ და შშმ პირთათვის სრულად ადაპტირებულია და ყველა საერთო სარგებლობის სივრცით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობები აქვთ როგორც, მოსწავლეებს ასევე თანამშრომლებს. **3.5.1.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

3. სკოლაში არსებული ბიბლიოთეკა ფინქციონირებს შესაბამისი წესების თანახმად, ბიბლიოთეკას სარგებლობაში აქვს კომპიუტერი. შემთხვევითობის პრინციპით ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ბიბლიოთეკის წიგნები, თითოეული მათგანი დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში არის მკითხველის ბარათები. წიგნადი ფონდი აღირიცხება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც აღინიშნება: ინვენტარის ნომერი, წიგნის ავტორის სახელი და გვარი, წიგნის სათაური, გამოცემის წელი, შენიშვნა. ბიბლიოთეკარი ჟურნალში აწარმოებს საბიბლიოთეკო რესურსის გატანასა და დაბრუნების აღრიცხვას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი წიგნები, პერიოდიკა და ა.შ. **3.5.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4 სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

4. სკოლა სრულად ადაპტირებულია. საერთო სარგებლობის სივრცეებით, ინფრასტრუქტურით, მატერიალური რესურსებით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს თანაბარ პირობებში. **ინდიკატორი 3.5.1.4 დააკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

5. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. ტარდება სხვადასხვა სასწავლო სპორტული ღონისძიებები, სკოლის ბიბლიოთეკა აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, გაწერილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით გეგმავს და ატარებს შემეცნებით აქტივობებს. სპორტულ დარბაზში

ტარდება სასკოლო და სარაიონო შეჯიბრებები. სააქტო დარბაზი ქმნის ხელსაყრელ გარემოს მოსწავლეთა არაფორმალური განათლებისათვის. სკოლას აქვს საკმაოდ საინტერესო სასკოლო მუზეუმი, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო რესურსს ყველა საგნის პედაგოგისთვის. **ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- შენობის ვიზუალური დათვალიერება;
- სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მერხები, კომპიუტერები, სახელმძღვანელოები);
- მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მართვისა და სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლა აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს. სკოლა აღჭურვილია კომპიუტერებით (122 ცალი), რომელსაც იყენებენ როგორც ადმინისტრაციული, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვისას. სკოლის საკლასო ოთახები აღჭურვია პროექტორებით, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ გაკვეთილებისა და სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებისთვის. მასწავლებლები მოსწავლეების ჩართულობით ქმნიან ელექტრონულ რესურსებს. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, ელექტრონულ ფოსტას, მართვის საინფორმაციო სისტემას, ელექტრონულ ჟურნალს, Teams - ის პლატფორმას. სკოლას აქვს პრინტერები(6 ცალი). შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც გაწერილია როგორ იყენებს სკოლა ტექნოლოგიებს მართვისა და სწავლების პროცესში და როგორ გეგმავს აღნიშნული მიმართულების განვითარებას. სკოლას აქვს გამართული ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. **ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე თანამშრომლებისათვის. მათ აქვს საშუალება საჭიროებისამებრ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის. სკოლას დამტკიცებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი, რომელშიც გაწერილი აქვს აღნიშნული ლაბორატორიის სარგებლობის გრაფიკი, თანასწორობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრული განვითარების გეგმა;
- კომპიუტერებისა და პროექტორების მიღება-ჩაბარების აქტები;
- WI-FI-ის აპარატურის მიღება-ჩაბარების აქტი;

- კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი;
- ვიზუალური დათვალიერება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომლითაც გაწერილია საქმისწარმოების ფორმა, დოკუმენტის შექმნის, ვიზირების, გაგზავნის, მიღების, დამუშავების, შესრულებისა და შენახვის წესი, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის საკითხები, სკოლის კანცელარიის უფლება-მოვალეობები, ნომენკლატურის შედგენისა და არქივთან დაკავშირებული რეგულაციები. **ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა საქმისწარმოებისთვის იყენებს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას - Eflow - ს. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომელშიც შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს სისტემის მეშვეობით. საქმისწარმოების პროცესში სკოლა ასევე აქტიურად იყენებს სამსახურებრივ ელ.ფოსტას - Kobuleti3@mes.gov.ge. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა და ინდივიდუალური მომხმარებლის გვერდი eFlow-ს ელექტრონულ სისტემაში, საიდანაც მათ აქვთ შესაძლებლობა სკოლის დირექციას მიმართონ სამსახურებრივი ბარათებით და განცხადებებით. **ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. **ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებს და უკუკავშირს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. საკანონმდებლო ვადების დაცვით ამზადებს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ. ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, ყოველწლიურად აქვეყნებს კანონმდებლობით მოთხოვნილ ინფორმაციას საკანონმდებლო მაცნეში და აგზავნის შესაბამის წერილებს საქართველოს პარლამენტთან, პრეზიდენტთან და პრემიერმინისტრთან. ასევე, საქართველოს განათლების სამინისტროში სკოლა ყოველწლიურად წარადგენს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშს სკოლის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ. სკოლა საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისად უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებას. **ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- ბრძანების, ცნობის, განცხადების და წერილის ნიმუში eFlow;
- პარლამენტში გაგზავნილი წერილი;
- ინკლუზიური განათლების წლიური შიდა მონიტორინგის დასკვნა;
- სასკოლო საზოგადოების წევრებთან ჩატარებული ინტერვიუ.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელშიც ინფორმირებისა და კომუნიკაციის მთავარ ინსტრუმენტებად განსაზღვრულია ოფიციალური ვებ გვერდი (<https://shorturl.at/ziFfE>) და ფეისბუქის გვერდი (<https://www.facebook.com/mesame.skola.52>). აღნიშნულ ელექტრონულ სივრცეებში სკოლა პერმანენტულად ათავსებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე და განხორციელებული აქტივობების შესახებ. თანამშრომლებთან საკომუნიკაციოდ გამოიყენება ელექტრონული ფოსტა და დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში. დამრიგებლებს შექმნილი აქვთ მსგავსი ჯგუფები მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციისთვისაც. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომლის საშუალებითაც მშობლები ეცნობიან

ინფორმაციებს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენის შესახებ. ინფორმაციის მიწოდების მიზნით აქტიურად გამოიყენება საინფორმაციო დაფებიც. **ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო ინფორმაციის გავრცელებას. გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა დასტურდება სკოლაში რეალურად განხორციელებული პროცესებით. სკოლის დირექცია პასუხისმგებლობას იღებს განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებს, სურვილებსა და ინიციატივებს საქმიანობის პროცესში. პირად თუ სამუშაო შეხვედრებზე სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ საშუალება დააფიქსირონ თავიანთი შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე და მიაწოდონ წინადადებები სკოლის დირექციას. ელექტრონული საკომუნიკაციო არხებითაც ნებისმიერ მათგანს შეუძლია მოსაზრების გაზიარება სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზს და იყენებს მას საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე (სკოლაში სწავლება მხოლოდ ქართულ ენაზე მიმდინარეობს). **ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი აქვს ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია: სკოლის ფილოსოფია, სტრუქტურა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის წესები, მოსწავლის ჩარიცხვის წესები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის ანგარიში, სასკოლო სასწავლო გეგმა, დამატებითი მომსახურებები.

ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი;
- სკოლის ვებ - გვერდი;

- სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუ.
- საინფორმაციო დაფები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

1. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, სკოლა ღებულობს სსსმ მოსწავლეთა დაფინანსებას (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით პროგრამის „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელისშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში“ - ფარგლებში) და დამატებითი ეკონომიური შემოსავალს (იჯარა) გასულ სასწავლო წელს, ყველა წესის დაცვით სკოლას გაიჯარებული ქონდა: კვების ბლოკი, საკანცელარიო მაღაზია, სპორტული წრე და სასაწყობე მეურნეობა.

სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია მასწავლებლების, ტექ-პესონალის, შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. დარჩენილი თანხა ნაწილდება პრიორიტეტების მიხედვით, ჰიგიენის, საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის შესაძენად. ეტაპობრივად ხდება ზედაპირული სარემონტო და აღმდგენი სამუშაოების ჩატარება (მერხები, კარებები, სველი წერტილები, ონკანები, კედლები და იატაკი) .

თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინტერესებს. **ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

2.ფინანსური დაგეგმვისას ხდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზი და შემოსავლების პროგნოზირება. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა.სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს (10 დეკემბრამდე) დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. **3.7.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი N10 ;
- ფინანსური ანგარიში;
- სკოლის ბიუჯეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

- სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
- მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
- მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

1. სკოლას აქვს შინაგანაწესი შემუშავებული და შეთანხმებული სასკოლო საზოგადოებასთან (სამეურვეო საბჭოს 2019 წლის 10 სექტემბრის სხდომის ოქმი), რომლის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის, კერძოდ გამოკრულია სკოლის დერეფანში და დამრიგებლები ყოველი წლის დასაწყისში პირველ კრებაზე

აცნობენ მშობლებს. სკოლაში ხორციელდება უცხო პირთა შესვლაზე მონიტორინგი და ხდება მასწავლებელთა რეგულარული მორიგეობა. მორიგე მასწავლებელთა მუშაობის განრიგი შედგენილია სკოლის მიერ და გამოკრულია დერეფნებში. შემუშავებულია გასაჩივრების დეტალური პროცედურები. ასევე ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი(ბრძანება №01-03.55 18.04.2024წ). **4.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები, რომელიც მოსწავლის კანონიერ უფლებების დაცვას ითვალისწინებს, საჯაროა და გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე. აგრეთვე, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. კოლიგიალური ორგანოები განიხილავენ სკოლის შინაგანაწესს, და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს სასკოლო რეგულაციებს , რაც დასტურდება ხელმოწერით.

ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭვირვალე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი. **4.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

3.მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლება-მოვალეობების, პასუხისმგებლობების, ხელშეკრულების ვადისა და შეწყვეტის პირობების, მხარეთა რეკვიზიტებისა და ხელმოწერების შესახებ **ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები ;
- მშობლების თანხმობის განაცხადები პერსონალური მონაცემების გასაჯაროებაზე;
- შინაგანაწესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

1.სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ შესაბამისად. სკოლამ ვიზიტის დროს დამატებით წარმოადგინა 2024 წლის 19 აპრილს (ბრძანება N 01-03/58) დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. **4.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

2.ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა 2024 წლის 19 აპრილს (ბრძანება N 01-03/58)დამტკიცებული მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენის პროცესს. სკოლაში ასევე მოწესრიგებულია მოსწავლეთა პირადი საქმეები.**4.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

3.სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი“, „ბიბლიოთეკის დებულება“, „კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი“, „მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“ „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები“, „მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი“, სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი , რომლებიც საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. მრეგულირებელი დოკუმენტების ძირითადი ნაწილი ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას (კონკრეტულ მუხლებს) . სოციალურ ქსელის საშუალებით, ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს.

წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი **4.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

4. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის ყოველდღიურად განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას, აქტივობებს და ემსახურება ინფორმირებულობას. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, მასწავლებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება დაინტერესებულ პირთა ინფორმირება. **ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმატოვებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის დებულება;
